

ბალოგი უნგრეთის წინააღმდეგ

საქმეზე „ბალოგი უნგრეთის წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (მეორე სექცია) პალატის სახით შეიკრიბა შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,

ბ-ნი ა. ბ. ბაბა,

ბ-ნი ლ. ლუკაიშენი,

ბ-ნი ც. ბირსანი,

ბ-ნი კ. ჯანგვირტი,

ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,

ქ-ნი ა. მალარონი,

ქ-ნი ს. დოლუ, სექციის მდივანი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2003 წლის 13 მაისს, 2004 წლის 25 მაისს და 29 ივნისს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. სასამართლოს წინაშე საქმე წარდგენილი იყო უნგრეთის მოქალაქის, ბ-ნ სანდორ ბალოგის (შემდგომში განმცხადებელი) მიერ 1999 წლის 8 აპრილს, უნგრეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქმეს საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) 34-ე მუხლი.
2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი ი. ფურმანი, მისკოლკში მომუშავე იურისტი, რომელიც ასევე ჩართული იყო „ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების სამართლებრივი დაცვის ბიუროს“ (შემდგომში NEKI) საქმიანობაში. უნგრეთის მთავრობა წარმოადგინა ბ-ნმა ლ. პოლსტმა, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ იუსტიციის სამინისტროდან.
3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას პოლიცია ცუდად მოეპყრო და მის საჩივართან დაკავშირებული გამოძიება არაეფექტური გამოდგა, რამაც დაარღვია კონვენციის მესამე მუხლი. ამასთან, ის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით ჩიოდა, რომ არ ჰქონდა დაშვება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე და კონვენციის მე-13 მუხლის საწინააღმდეგოდ, არც ეფექტურ ზომებზე. დაბოლოს, მან მე-14 მუხლის საფუძველზე, მე-3 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში, განაცხადა, რომ ბოშური წარმოშობის საფუძველზე ხდებოდა მისი დისკრიმინაცია.
4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ამ სექციის ფარგლებში, საქმის განმხილველი პალატა (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) შეიქმნა 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წესით.
5. 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ სექციის შემადგენლობა შეცვალა (25-ე მუხლი, §1). ეს საქმე გადაეცა ახლად შექმნილ მეორე სექციას (52-ე მუხლი, §1).
6. 2003 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლომ საქმე დაშვებულად ცნო.

7. განმცხადებელმა და მთავრობამ მიმოხილვეები წარმოადგინეს. მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა მოსმენის გამართვის აუცილებლობა (59-ე მუხლი, §3, *in fine*).

შაქტები

1. საქმის ბარემოებები

8. განმცხადებელი დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს უნგრეთში, მისკოლკში. იგი ბოშური წარმოშობისაა.

9. 1995 წლის 9 აგვისტოს განმცხადებელი ქ-ნ ბ.-სთან და ბ-ნ ს.-სთან ერთად, ოროშაზაში სატვირთო ავტომობილით კარდაკარ ყიდდა ნახშირს. ტრანსაქციის შეწყვეტის შემდეგ, სავარაუდოდ, მყიდველებმა ადგილობრივ პოლიციას შეატყობინეს, რომ სამმა ადამიანმა მათი ეზო საწვავის ვაუჩერის დაბრუნების გარეშე დატოვა. 5 საათსა და 45 წუთზე ორმა ადგილობრივმა პოლიციელმა განმცხადებლის სატვირთო მანქანა გააჩერა და განმცხადებელსა და მის კომპანიონებს მიუთითა, მიემართათ ოროშაზას პოლიციის განყოფილებისათვის. განმცხადებელი პოლიციის ოფიცრებმა ს.-მ და კ.-მ ადგილზე დაკითხეს.

10. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დაკითხვისას პოლიციის ერთი ოფიცერი მას მარცხენა ყურის არეში ხშირად გაშლილ ხელს ურტყამდა, ხოლო მეორე - მხარში მუშტს. ოფიცრები მისგან მოითხოვდნენ ელიარებიან, სად იყო მოპარული ვაუჩერები დამალული.

11. მას შემდგომ, რაც განმცხადებელი ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს, პოლიციის განყოფილების პირველ სართულზე მას დახვდნენ ქ-ნი ბ. და ბ-ნი ს. ისევ, როგორც ბ-ნი ბ. და ბ-ნი მ., რომლებიც იყვნენ განმცხადებლისა და მისი კომპანიონების ნაცნობები.

აპლიკანტის განცხადებით, როდესაც ის და მისი თანმხლები პირები პოლიციის განყოფილების ტერიტორიას ტოვებდნენ, პოლიციის ოფიცრმა ისინი გააფრთხილა: „გადაუცით მისკოლკელ ბოშებს, რომ მათთვის უკეთესია, ფეხი არ დადგან ოროშაზაში“.

12. მისკოლკში, სახლში დაბრუნების შემდეგ, 1995 წლის 11 აგვისტოს განმცხადებელმა კონსულტაცია გაიარა ადგილობრივ ექიმთან, ვ.-სთან, რომელმაც ურჩია მიემართა დიოსჯიორის საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის დეპარტამენტისათვის. 1995 წლის 14 აგვისტოს ექიმმა გ.-მ განმცხადებელს ჩაუტარა ყურის დაფის აპკის აღმდგენი ოპერაცია, რაც გამოწვეული იყო ტრავმული გახეთქის შედეგად. 1995 წლის 16 აგვისტოს ექიმმა გ.-მ საქმე პოლიციას გადაუგზავნა.

13. 1995 წლის 28 აგვისტოს განმცხადებელი საავადმყოფოდან გაეწერა. მის სამედიცინო ანგარიშში, კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე ეწერა, რომ მან გადაიტანა მარცხენა ყურის დაფის აპკის ტრავმული გახეთქვა. იგივე დასკვნა ფიგურირებდა ორ შემდგომ სამედიცინო ანგარიშში, რომლებიც გასცეს 1995 წლის 25 აგვისტოს ექიმმა გ.-მ და 1995 წლის 29 სექტემბერს ექიმმა ვ.-მ განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანი, შემდეგ სამედიცინო ანგარიშში, რომელიც 1997 წლის 10 სექტემბრით თარიღდება, აღწერილია, როგორც მარცხენა ყურში „სმენადობის საშუალოზე დაბალი დონის დაკარგვა“.

14. 1995 წლის 25 სექტემბერს სხეგედის საგამოძიებო სამსახურმა განმცხადებელს აცნობა, რომ ექიმ გ.-ს მიერ 16 აგვისტოს წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე,

პოლიტიკის ოფიცრების მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. პოლიტიკის ოფიცრები დადანაშაულებულნი იყვნენ „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცუდად მოპყრობასა“ და „იძულებითი დაკითხვის წარმოებაში“.

15. საგამოძიებო სამსახურმა მოუსმინა განმცხადებელს და რამდენიმე მოწმეს. განმცხადებლის მხრიდან წარმოდგენილი იყო ოთხი ადამიანი:

ბ-მა ს.-მ განაცხადა:

„[პოლიტიკის განყოფილების შენობაში] შევხვდი განმცხადებელს [...], რომელსაც მარცხენა ყურის ქვეშ ჩაღურჯებული და შესიებული ჰქონდა, რის გამოც ვკითხე, მათ ხომ არ ავნეს რაიმე. მან მიპასუხა, რომ ავნეს და მიმითითა სახის მარცხენა მხარეზე, თან მითხრა, რომ ის ნაწილი სტკიოდა. მისი თქმით, იმ მხარეს არაფერი ესმოდა“.

ქ-მა ბ.-მ განაცხადა:

„[როცა განმცხადებელი ჩამოვიდა პირველ სართულზე], მაშინვე მივხვდი, რომ მას სახის მარცხენა ნაწილი და ყური შესიებული ჰქონდა. მე ვიფიქრე, რომ ის სცემეს, რის შესახებაც ვკითხე. მან მიპასუხა, რომ ცოტათი იყო ნაცემი. [...] მე კარგად მახსოვს, რომ მას სახის მარცხენა მხარე გაწითლებული ჰქონდა და თითის კვალიც კი ემჩნეოდა“.

ბ-მა მ.-მ განაცხადა:

„[როცა ბოლოს და ბოლოს განმცხადებელი ჩამოვიდა პირველ სართულზე], ეგრევე მივხვდი, რომ მას კანი მარცხენა ყურთან და კისერთან დაწითლებულ-დაღურჯებული ჰქონდა. მე ეჭვიც არ შემპარვია იმაში, რომ სახე დარტყმის შედეგად ჰქონდა გასიებული. ამის შემდეგ ვკითხე, რამე ხომ არ ატკინეს [...], რაზეც მიპასუხა: „ცოტათი“.

ბ-მა ბ.-მ განაცხადა:

„[როცა განმცხადებელი ჩამოვიდა პირველ სართულზე], შეხედვისთანავე ჩანდა, რომ სახის მარცხენა მხარე და ყური გაწითლებული ჰქონდა. აშკარად ნაცემი იყო. ქ-მა ბ.-მ ჰკითხა კიდევ, რამე ხომ არ ატკინეს. პირველად მან უარყოფითად უპასუხა. შემდეგ მე ვკითხე იგივე, რაზეც მიპასუხა: „ცოტათი“.

საგამოძიებო სამსახურმა ასევე მოუსმინა ექიმ ვ.-ს და პოლიტიკის ოთხ ოფიცერს, რომლებიც განმცხადებლის დაკითხვის დროს ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას.

პოლიტიკის მოწმეებმა უარი განაცხადეს განმცხადებლის მიმართ ცუდად მოპყრობის დამადასტურებელი რაიმე ფაქტის ცოდნის თაობაზე.

ექვმიტანილი პოლიციელები ს. და კ. 1995 წლის 15 ნოემბრის დაკითხვის დროს აპლიკანტის ბრალდებას ცალსახად უარყოფდნენ.

პოლიტიკის ოფიცერმა ს.-მ, *inter alia*, განაცხადა:

„მე მახსოვს [განმცხადებელი] ამბობდა რაღაც ამგვარს, რომ იგი, მისი ცოლის მიერ აღებული ვალების გასტუმრების მიზნით, ამ ხალხთან სატვირთო მანქანის მიღოლად მუშაობდა. [...] ის [თავის კომპანიონებს] ადანაშაულებდა იმაში, რომ მას გაცილებით მეტს ამუშავებდნენ, ვიდრე უხდიდნენ. ჩემს ერთ-ერთ კოლეგას მან ასევე უთხრა, რომ ისინი მას ან ღატოვებდნენ, ან ამის გამო უკანა გზაზე სცემდნენ“.

პოლიტიკის ოფიცერმა კ.-მ, *inter alia*, განაცხადა:

„დაკითხვის შემდეგ ოფიცერმა ს.-მ მითხრა, რომ [დაკითხულმა პირებმა] ერთმანეთთანაც იხილებს. შესაძლებელია, [განმცხადებელს] შესაბამისად არ გადაუხადეს. ისინი დაობდნენ ფულზე, თუ რაღაც ამის მსგავსზე [...]“.

16. 1995 წლის 16 ნოემბერს, საგამოძიებო სამსახურის მიერ დანიშნულმა სამედიცინო ექსპერტმა გამოთქვა აზრი, რომ არ იყო გამორიცხული, განმცხადებლისთვის ზიანის მიყენება მისი მითითების მსგავსად მომხდარიყო. თუმცა ექსპერტის აზრით, შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ როდის დაუზიანდა განმცხადებელს ყური – დაკითხვამდე, დაკითხვის შემდეგ, თუ დაკითხვის დროს.

17. 1995 წლის 30 ნოემბერს საგამოძიებო სამსახურმა პოლიტიკის ოფიცრების კ.-სა და ს.-ს წინააღმდეგ დასკვნითი მტკიცებულების არარსებობის გამო საქმისწარმოება შეწყვიტა. 1995 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელმა შეწყვეტის ორდერის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა.

18. 1996 წლის 24 იანვარს ოროშაზას რაიონულმა საჯარო პროკურატურამ გამოძიების აღდგენა, განმცხადებელს, საქმეში ჩართული პოლიტიკის ოფიცრებსა და სხვადასხვა მოწმეებს შორის დაპირისპირების ორგანიზება და ასევე უფრო მეტი მოწმის დაკითხვა ბრძანა.

19. აღდგენილი პროცესის ფარგლებში კსონგრადის რაიონის საგამოძიებო სამსახურმა 1996 წლის 1 მარტს განმცხადებელი დააპირისპირა ეჭვმიტანილ პოლიტიკის ოფიცერთან და ასევე პოლიტიკის მესამე ოფიცერთან, რომელიც დაიკითხა როგორც ახალი მოწმე.

20. 1996 წლის 6 მარტს საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება შეწყვიტა.

ერთი მხრივ, განმცხადებლის, რომელიც პროცესის განმავლობაში გამუდმებით ერთსა და იმავეს ამტკიცებდა და მისი კომპანიონების მიერ მიცემულ ჩვენებაზე დაყრდნობით და მეორე მხრივ, საქმეში ჩართული პოლიტიკის ოფიცრების მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე, ისევე როგორც სამივეს დაპირისპირების შედეგად მიღებულ ჩვენებებზე დაყრდნობით, საგამოძიებო სამსახურმა გადაწყვიტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმ ფორმით, როგორც ამტკიცებდა განმცხადებელი, არ შეიძლებოდა იმის გამორიცხვა, რომ ეს ზიანი მას მიღგომოდა დაკითხვამდე, ან მის შემდეგ.

ვინაიდან არ არსებობდა მოცემული საქმის პირდაპირი მოწმე და სამედიცინო ჩვენება არ იყო გადამწყვეტი იმ დროსთან დაკავშირებით, როდესაც განმცხადებელს ზიანი მიაყენეს, საგამოძიებო სამსახური ვალდებული იყო განმცხადებლის ბრალდებისათვის, როგორც არაარსებობისათვის, არ მიექცია ყურადღება და შეეწყვიტა საქმი სწარმოება. ბრძანებამ, რომელიც განმცხადებელს გადაეცა 1996 წლის 11 მარტს, მისი ყურადღება გადაიტანა მის უფლებაზე, საჩივარი შეეტანა საჯარო პროკურორის ოფისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მას სურდა შეეცვალა საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. განმცხადებელმა ეს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა.

1996 წლის 1 აგვისტოს განმცხადებლის შრომისუნარიანობა გამოცხადდა 50%-ით შემცირებულად, ასთმური ბრონქიტის საფუძველზე, ასევე მას გაუუარესდა სმენადობა. ამ ორი ფაქტორის მნიშვნელობა არ იყო დაკონკრეტებული. შედეგად, მან ვერ შეძლო ვერც სატვირთო მანქანის მძღოლის მართვის მოწმობის განახლება და ვერც მძღოლად მუშაობის დაწყება.

21. 1998 წლის 30 მარტს განმცხადებელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა. 1998 წლის 16 აპრილს ბეკეს რაიონის კომპეტენტური პოლიციის დეპარტამენტის მიერ მას პასუხად ეცნობა, რომ ის არ იყო კომპენსაციაზე უფლებამოსილი, ვინაიდან მან არ გაასაჩივრა 1996 წლის 6 მარტს გამოძიების შეწყვეტის ბრძანება და ამგვარად, არ დაეხმარა საკუთარ თავს ჩვეულებრივი სამართლებრივი საშუალებით, რაც იქნებოდა ოფიციალური პასუხისმგებლობის წარმოშობის წინა პირობა.

22. 1998 წლის 22 აპრილს განმცხადებელმა მისი საქმისწარმოებისათვის NEKI-ს მიმართა. NEKI-ს მიერ 1998 წლის 19 აგვისტოს მოპოვებული სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დგინდებოდა, რომ დაფის აპკის ტრავმული გახეთქვა, როგორც წესი, შეეძლო გამოეწვია ეურის არეში დარტყმას. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა წინა სამედიცინო დასკვნა, ექსპერტმა, განმცხადებლის ვერსია დაზიანებასთან დაკავშირებით, სიმართლედ მიიჩნია.

23. ახალ მტკიცებულებაზე დაყრდნობით NEKI-მ გენერალური დამცველის სამსახურთან ერთად 1998 წლის 25 აგვისტოს გაასაჩივრა 1996 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება და მოითხოვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის ხელახლა გახსნა.

24. 1998 წლის 5 ოქტომბერს კსონგრადის რაიონის საჯარო პროკურორის სამსახურმა საჩივარზე საბოლოოდ თქვა უარი. თავის არგუმენტირებულ გადაწყვეტილებაში მან განაცხადა:

„დეტალურად შევისწავლეთ საქმეში არსებული მასალები“.

გადაწყვეტილება გულისხმობდა, რომ მოწმეთა შესაბამისი ჩვენებებისა და სამედიცინო ექსპერტის დასკვნითი პოზიციის არარსებობის გამო შეუძლებელი იყო იმის დამტკიცება, რომ განმცხადებელს ზიანი სწორედ დაკავების დროს ეჭვმიტანილმა პოლიციის ოფიცერმა მიაყენა. საჯარო პროკურორის სამსახურმა აღნიშნა დაყოვნება 9 აგვისტოს დაკითხვასა და 1995 წლის 11 აგვისტოს სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვას შორის. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ ექსპერტის ახალი მოსაზრება არ შეიცავდა ისეთ ახალ ფაქტს, რომელიც მოგვცემდა გამოძიების გაგრძელებისა და ეჭვმიტანილებისათვის ბრალის წაყენების შესაძლებლობას. საჯარო პროკურორის სამსახური დასკვნით ნაწილში წერდა, რომ საქმის განხილვა შეიძლებოდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან შეუძლებელი იყო განმცხადებლის საჩივრის დადასტურება. NEKI-ს აღნიშნული გადაწყვეტილება მიეწოდა 1998 წლის 14 ოქტომბერს.

II. შუსაბამისი ადგილობრივი სამართალი

25. 1973 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ამჟამად გაუქმებულია) ძალაში ყოფნის დროს, 1-ლი აქტის 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს:

„სამოქალაქო მხარე არის მსხვერპლი, რომელსაც სისხლის-სამართლებრივ საქმეში გადაწყვეტილებისათვის შეაქვს სამოქალაქო სარჩელი“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით:

„(1) გამოძიების შეწყვეტა არ გამორიცხავს იმავე საქმეში სისხლის სამართლის პროცესურის გაგრძელებას მოგვიანებით“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით:

„გამოძიებისას არსებული საშუალება

(1) ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მიღებული ზომებით, თუ გადაცდომით, დაზარალებული პირი უფლებამოსილია შეიტანოს სარჩელი.

(...)

(4) მსგავსი სარჩელი შესაბამის ორგანოში შეიძლება შევიდეს გადაწყვეტილების მიღებიდან რვა დღის განმავლობაში, ან იმ დღიდან, როცა მოსარჩელისთვის ცნობილი გახდება გატარებული ზომის ან გადაცდომის შესახებ.

(5) იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების ორგანო თვითონ არ მიიღებს საჩივარს, მან საქმის მასალები, მისივე შეტყობინებასთან ერთად, ოცდაათი საათის განმავლობაში უნდა გადაუგზავნოს შესაბამის საჯარო პროკურორის სამსახურს. საჯარო პროკურორმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რვა დღის განმავლობაში.

(6) საჩივარზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ ის შეტანილია დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ან არაუფლებამოსილი პირის მიერ“.

26. ცვლილების შეტანის შემდეგ, სამოქალაქო კოდექსის 1959 წლის მე-4 აქტის 339-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით:

„ნებისმიერი ადამიანი, ვინც უკანონოდ მიაყენებს ზიანს სხვა ადამიანს, ვალდებული უნდა იყოს გადაიხადოს კომპენსაცია. საპატიო შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ის დაადასტურებს, რომ მისი ქმედობა იყო ჩვეულებრივი მოცემულ სიტუაციაში“.

სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი ითვალისწინებს:

„(1) სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ მიყენებული ზიანის თაობაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, თუ ზიანის აცილება შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი კანონიერი საშუალებებით, ან თუ დაზარალებულმა პირმა ზიანის ასაცილებლად მიმართა შესაბამის კანონიერ მექანიზმებს.

(...)

(3) თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს წესები ასევე გამოიყენება სასამართლოს ან პროკურატურის ორგანოების მიერ ზიანის მიყენების შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობის მიმართ“.

27. ცვლილების შეტანის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1952 წლის მე-3 აქტის მე-3 მუხლის მე-5 პარაგრაფი ადგენს:

„თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს, სამოქალაქო პროცესში მტკიცებულების გათვალისწინებისას სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული ფორმალური წესებით, ან მოცემული მეთოდებით, ან სპეციალური განცხადებით; მან თავისუფლად უნდა გამოიყენოს მხარეების მიერ წარდგენილი მონაცემები, ასევე შეუძლია გამოიყენოს ის სხვა მტკიცებულება, რომელიც ფაქტის დადგენისათვის იქნება ხელსაყრელი (...)“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს:

„გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო არ უნდა ეყრდნობოდეს სხვა ორგანოს გადაწყვეტილებას, ან დისციპლინურ რეზოლუციას, ან მასში გათვალისწინებულ დადგენილ ფაქტს“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო გადაწყვეტილება დამოკიდებულია წინასწარ განხილვაზე, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება სისხლის სამართლის სასამართლომ უნდა მიიღოს, [სამოქალაქო საქმეების] სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს საქმისწარმოება, სანამ ეს უკანასკნელი საბოლოოდ არ დასრულდება (...)“.

სამართალი

I. მთავრობის მიერ წარმოდგენილი წინასწარი პრეტენზია

28. მთავრობამ განაცხადა, რომ განცხადების დაშვებადობაზე მის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განიხილა მხოლოდ წინასწარი პრეტენზია განმცხადებლის ექვსთვიან წესთან შესაბამისობაზე მაშინ, როცა პრეტენზია ფაქტობრივად ემყარებოდა განმცხადებლის მიერ შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვისაგან თავის არიდებას, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის საწინააღმდეგოდ (იხილეთ მე-20 და 25-ე პარაგრაფები) განმცხადებელმა, საქმისწარმოების აღდგენის მიზნით, არ გამოიყენა ჩვეულებრივი მექანიზმი. მათი შეხედულების მიხედვით, მაშინაც კი, თუ განსაკუთრებული საშუალებებისათვის მიმართვა შეწყვეტდა დროის ექვსთვიან პერიოდს, განმცხადებლის მიმართ შედეგი უნდა დადგეს იქიდან გამომდინარე, რომ მან არ ამოწურა ყველა შესაძლებელი მექანიზმი. განმცხადებელმა დროულად არ შეიტანა საჩივარი და არ უნდა მოხდეს ამის გამორიცხვა იმით, რომ მან შემდგომ მიმართა განსაკუთრებულ მექანიზმს. სამართლიანობის ინტერესი მოითხოვს, რომ განმცხადებელმა პირველ რიგში და უმეტესად, უნდა მიმართოს იმ ჩვეულებრივ საშუალებებს, რომლებიც მეტად ეფექტურია და ის ფაქტი, რომ მან გაუშვა მიმართვის ვადა, არ უნდა იყოს გამოსწორებული განსაკუთრებული საშუალებებისათვის მიმართვის გზით.

განმცხადებელმა ამ კუთხით კომენტარი არ გააკეთა.

29. კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი ითვალისწინებს:

„სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საეოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება ამოწურება და ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული“.

30. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის ფარგლებში გასაჩივრებისათვის, შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულება მოითხოვს, რომ განმცხადებელმა მოახდინოს ეფექტური, მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი საშუალებების ნორმალური გამოყენება. იმისათვის, რომ საშუალება ეფექტური იყოს, ის უნარიანი უნდა იყოს პირდაპირ შეესაბამებოდეს სადავო ვითარებას (*მათიას ბერნი და ჟოსეფ ევერტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, №3251/87, კომისიის 1991 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები (DR) 68, გვ. 137, 164).

31. სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი შეწყვეტის ბრძანების მიუხედავად იძლევა გამოძიების აღდგენის საშუალებას. წინამდებარე საქმეში, NEKI ფლობდა რა ინფორმაციას ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ, ზემოაღნიშნული დებულების საფუძველზე მოითხოვდა საქმისწარმოების გაგრძელებას. იმის ნაცვლად, რომ უარი ეთქვა განცხადების, როგორც ხანდაზმულის მიღებაზე, საჯარო პროკურორის სამსახურმა მიიღო ახლად გამოვლენილი გარემოებები და გასცა არგუმენტირებული გადაწყვეტილება, რითაც განმცხადებლის მოტივაციას უარით უპასუხა. სასამართლოსათვის გადამწყვეტი არის ის ფაქტი, რომ საჯარო პროკურორის სამსახურმა განიხილა განმცხადებლის მითითების გარემოებები და მას შემდეგ, რაც ჩათვალა სამართლიანად, განაახლა გამოძიება.

32. ამ გარემოებებში, სასამართლო ამტკიცებს, რომ NEKI-ს 1998 წლის 25 აგვისტოს საჩივარი იყო ეფექტური და მნიშვნელოვანი საშუალება. ამდენად, მთავრობის წინასწარ პრეტენზიას, დაფუძნებულს შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის არარსებობაზე, უარი უნდა ეთქვას.

II. კონვენციის მე-3 მუხლის მითითებული დარღვევა

33. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას პოლიცია ცუდად მოეპყრო, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

„არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

ა. განმცხადებლის არგუმენტები

34. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსხვერპლისთვის რთული იყო იმის დამტკიცება, რომ დაკავებისას დაექვემდებარა პოლიციის სისასტიკეს. ამ მიზეზის გამო სწორედ მთავრობის ვალდებულება იყო მიყენებული ზიანის ფაქტის დამაჯერებელი ახსნა და იმის დამტკიცება, რომ მისი მოხელეები არ იყვნენ პასუხისმგებელნი მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით. თუმცა იმ ფაქტის დემონსტრირების ნაცვლად, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული სახელმწიფო მოხელეების მიერ, ან იმის ნაცვლად, რომ წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, ან ბრალი დაედო პოლიციის ეჭვმიტანილი ოფიცრებისათვის, ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მითითებული ფორმით განმცხადებლისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, არ შეიძლებოდა იმის გამორიცხვა, რომ ეს ზიანი მიადგა დაკითხვამდე, ან დაკითხვის შემდეგ (იხ. § 20).

35. ფაქტიურად, ხელისუფლებამ აღიარა განმცხადებლის მტკიცების სანდოობა. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ის, მთელი პროცესის განმავლობაში, ერთსა და იმავეს ამტკიცებდა. (იხ. §20). მის ჩვენებას მისი კომპანიონებიც ადასტურებდნენ იმ ფაქტით, რომ გათავისუფლებისას განმცხადებელს სახე გაწითლებული ჰქონდა და მან მაშინვე უთხრა მათ ცუდად მოპყრობის შესახებ.

36. აღნიშნული ანალიზისა და სამედიცინო მონაცემების საწინააღმდეგოდ, მთავრობამ უარყო ინციდენტის ფაქტი და არ წარმოადგინა განმცხადებლის დაზიანების დამაჯერებელი ახსნა-განმარტება.

37. სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის დაყოვნებასთან დაკავშირებით, აპლიკანტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ინციდენტამდე მას არ ჰქონია პოლიციასთან და საერთოდ

ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება. ამდენად, მან არ იცოდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ზიანის თაობაზე ოფიციალურ პირებთან დაუყოვნებლივ დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაზიანება მოითხოვდა დაუყოვნებლივ სამედიცინო ყურადღებას, ინციდენტის გამო მას თავი შერცხვენილად და შეურაცხყოფილად მიაჩნდა. მან არ მიმართა სამედიცინო დახმარებას მანამ, სანამ არ დაბრუნდა თავის ქალაქში, რადგან ის ქალაქები, რომლებიც სახლისკენ გზად გაიარა, მისთვის უცხო იყო. ასე რომ, ამ პერიოდის განმავლობაში მიყენებული სასტიკი დაზიანებების გამო მას გამუდმებული ტკივილები ჰქონდა.

ბ. მთავრობის არგუმენტები

38. მთავრობა ინარჩუნებდა პოზიციას, რომ შიდა ხელისუფლების მიერ ჩატარებული სისხლის-სამართლებრივი გამოძიების დასკვნის მიხედვით, არ შეიძლებოდა არც გამორიცხვა და არც დადასტურება იმისა, რომ განმცხადებელს ზიანი მიაყენა პოლიციის იმ ორმა ოფიცერმა, რომლებმაც იგი დაკითხეს.

39. მთავრობამ საქმეებში *სელმუნის საფრანგეთის წინააღმდეგ* ([GC], №25803/94, ECHR 1999-V), *რიბიში ავსტრიის წინააღმდეგ* (1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, ციკლი ა, №336) და *ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ* (1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, ციკლი ა, №241-ა) სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით დაადგინა, რომ თუ დაკავებული პირი გათავისუფლებისას დაზიანებული აღმოჩნდებოდა, მე-3 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა ზიანის გამომწვევ მიუხედავად დაკავშირებით. თუმცა, განმცხადებლის საქმის გარემოებები განსხვავებული იყო. განმცხადებელი დაზიანებული არ აღმოჩნდა არც დაკავებისას და არც გათავისუფლების მომენტში. მისი დაზიანებები შემოწმდა და დამუშავდა მისი გათავისუფლებიდან ორი დღის შემდეგ. ეს გარემოება ამართლებდა საგამოძიებო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა განმცხადებლის საჩივარზე მტკიცებულების წარმოდგენის მიზნით. ამდენად, მთავრობამ მოიხსნა ვალდებულება დამაჯერებლად აეხსნა განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი გარემოებები.

40. განმცხადებლის დაზიანებების ერთადერთი ახსნა იყო მისი პირადი ვერსია, თუ რა მოხდა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა შეუძლებელი იყო სიმართლის დადგენა მხოლოდ მის ანგარიშზე დაყრდნობით, რომელიც არ იყო მნიშვნელოვნად დამაჯერებელი საქმეში ჩართული პოლიციის ოფიცრების ბრალდებისათვის. განმცხადებლის მიერ სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის დაყოვნების გამო, სელმუნის საქმის საწინააღმდეგოდ, სადაც საგამოძიებო ორგანოები იძიებდნენ, თუ როგორ მოხდა ბ-ნი სელმუნის დაზიანება, სამედიცინო ექსპერტმა განმცხადებლის საქმეში ვერ შეძლო დამაჯერებლად განესაზღვრა, თუ როდის მიაღვა განმცხადებელს ზიანი – დაკითხვამდე, დაკითხვის დროს, თუ დაკითხვის შემდეგ.

41. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის კუთხით მოეთხოვა, განმცხადებელმა აირჩია პოლიციის ეჭვიმიტანილი ოფიცრებისთვის, როგორც ინდივიდებისთვის, სისხლის სამართლის ხაზით ეჩივლა. მთავრობის აზრით, ეს არჩევანი გააძლიერა იმ ფაქტორმა, რომ განმცხადებელმა სრულად გაიზიარა აზრი, რომ პოლიციის ოფიცრების სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ბრალეულობა შეფასდებოდა, როგორც გონივრულ ეჭვს გადაჭარბებული. განმცხადებელს საქმე ზიანის ანაზღაურების კუთხით რომ გაეგრძელებინა, მტკიცების მკაცრი სტანდარტი არ იქნებოდა გამოყენებული და მისი განცხადების დამტკიცებაც გაცილებით ნაკლებ პრობლემური იქნებოდა.

42. შემდეგ მთავრობა აღნიშნავდა, რომ განმცხადებლის განმარტება ეჭვქვეშ დააყენა პოლიციის ერთ-ერთი ეჭმიტანილი ოფიცრის ჩვენებამ, რომელიც დაზიანების მიზეზთან დაკავშირებით მიუთითებდა სხვა შესაძლო განმარტებაზე (იხ. §15 *in fine*, ზემოთ). თუმცა მომხდარის ეს ვერსია, შემოთავაზებული განმცხადებლის კომპანიონების მიერ, მისი დაზიანებების თაობაზე, არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით და ამდენად, არ იყო სანდო განმცხადებლის მითითებების სიმართლის დასამტკიცებლად.

43. უფრო მეტიც, მთავრობა აცხადებდა, რომ პროკურორის გადაწყვეტილება, არ გაეგრძელებინა საქმე, ემყარებოდა სასამართლოების მიერ მსგავს საქმეებში მიღებული მტკიცების სტანდარტს და შესაბამის შიდა სახელმწიფოებრივ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ არსებულ და მათ მიერ დაკვირვებით შეფასებულ მტკიცებულებების ძალას. როცა განმცხადებლის სახელით მოქმედმა NEKI-მ ორნახევარ წელიწადში შეცვალა არსებული შეფასება, პროკურატურის ორგანოებს მითითებული დამნაშავეებისათვის ბრალის წაყენების გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა მიეღოთ სხვა ფაქტორი, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დროის მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლა.

გ. სასამართლოს შეფასება

44. როგორც სასამართლომ მრავალჯერ აღნიშნა, მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს ინახავს. უკიდურესად რთული მდგომარეობის დროსაც კი, როგორიცაა ტერორიზმისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია ცალსახად კრძალავს წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციისა და პირველი და მე-4 დამატებითი ოქმების უმეტესი არსებითი მუხლებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს არანაირ გამოწვევას და მე-15 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია მისგან გადახვევა, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ექმნება მოსახლეობის სიცოცხლეს.

45. სასამართლოს განცხადებით, იმისთვის, რომ ცუდად მოპყრობა მოხვდეს მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, მან სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. მინიმუმის შეფასება რელევანტურია; ის დამოკიდებულია საქმის იმ ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, ფიზიკური და/ან მორალური ეფექტები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. თავისუფლებასამორთმეული ადამიანის მიმართ ფიზიკური იძულების გამოყენება, თუ ეს აუცილებლად მისი ქმედობით არ არის გამოწვეული, ამცირებს ადამიანის ღირსებას და წარმოადგენს მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის დარღვევას (*ტეკინი თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, *განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები* 1998-IV, გვ. 1517-18, პუნქტები 52 და 53).

46. წინამდებარე საქმეში სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანება საკმარისად სერიოზულია იმისათვის, რომ გაუტოლდეს მე-3 მუხლის ფარგლებში ცუდად მოპყრობას (იხ. მაგ.: *ა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1998-IV გვ. 2699, პუნქტი 21 და ზემოთ ხსენებული *რიბიშის* გადაწყვეტილება, გვ. 9 და 26, პუნქტები 13 და 39). განსასაზღვრია, რამდენად შეიძლება დადგეს მე-3 მუხლის ქვეშ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

47. სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც პიროვნებას დაკავებისას აქვს კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო გათავისუფლების მომენტისათვის მას მიყენებული აქვს დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს ზიანის

მიყენების მიზეზების რეალური ახსნა (იხ., მაგ., *ხელშეყრის საფრანგეთის წინააღმდეგ*, op. cit., პუნქტი 87).

48. როგორც სასამართლო აღნიშნავს, სამედიცინო ანგარიშები ადასტურებს, რომ განმცხადებელმა გადაიტანა მარცხენა ყურის დაფის აპკის ტრავმული გახეთქვა. სასამართლო ექსპერტის მიხედვით, მსგავსი დაზიანებების ყველაზე ხშირი მიზეზია სახეში გარტყმა.

მან დააფიქსირა, რომ როგორც განმცხადებლის კომპანიონები აცხადებდნენ, განმცხადებელმა 1995 წლის 9 აგვისტოს დაკითხვის შემდეგ პოლიციის განყოფილება დატოვა დაწითლებული და დაღურჯებული სახით. შესაბამისი ფორმით, დაკითხვის შემდეგ ყველა მოწმემ განაცხადა, რომ ის ნაცემი უნდა ყოფილიყო. მთავრობის განაცხადით, დაკითხვის დროს განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მას ეშინოდა რაიმე ცუდი არ დამართოდა და ამ კონტექსტში მოიხსენია თავისი კომპანიონები. თუმცა მსგავსი გამონათქვამი უხერხულად გამოიყურება ფაქტთან, როცა განმცხადებელი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ის დაკავებისას შეურაცხევეს პოლიციის ოფიცრებმა. უფრო მეტიც, საქმის მასალებში არსად ჩანს, რომ განმცხადებლის კომპანიონები როდისმე მაინც დაიკითხნენ აღნიშნული გამონათქვამის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. სასამართლოსთვის არ შეიძლება სარწმუნოდ ჩაითვალოს განმცხადებლისათვის მიყენებული დაზიანებების აღნიშნული ახსნა-განმარტება.

49. სიმართლეს შეეფერება ის, რომ განმცხადებელმა სამედიცინო დახმარებას არ მიმართა, არც იმ საღამოს, არც მეორე დღეს და მოიცადა 1995 წლის 11 აგვისტომდე. თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისთანავე მიმართა სამედიცინო დახმარებას, სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ დაყოვნებას, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად მნიშვნელოვნად, რომ საქმე მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში არ მოხვედეს.

50. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ დამოუკიდებელი გამოძიება განმცხადებლის მითითების მიხედვით ჩატარდა. პროკურორმა, ვისი ვალდებულებაც გაართულა დამოუკიდებელი დამსწრე მოწმის ჩვენების არარსებობამ, მოისმინა განმცხადებლისა და მისი კომპანიონების განცხადებები და შეამოწმა პოლიციის იმ ოფიცრებისაგან მოწოდებული მონაცემების სიზუსტე, რომლებიც პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლის დაკითხვის დღეს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ იმ ოფიცრების ჩათვლით, რომლებზეც მითითებული იყო საპყრობილეში ცემის ფაქტთან დაკავშირებით. მომხდარის შესახებ ორივე მხარის ვერსიის დასადასტურებლად დაპირისპირებები ჩატარდა. პროკურორის გადაწყვეტილებით, პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ არ არსებობდა საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ განხორციელებულიყო წარმატებული საქმისწარმოება. შესაბამისად, გამოძიება შეწყდა.

51. მიუხედავად გამოძიებისა, საქმე მაინც ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ არ წარმოადგინა ზიანის გამომწვევი მიზეზების დამაჯერებელი ახსნა. ამ გარემოებაში იგულისხმება, რომ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მე-3 მუხლის დარღვევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ჩატარებულია წარმატებული გამოძიება ცუდად მოპყრობის საფუძველზე (იხ. მაგალითად, ზემოთ ხსენებული *ხელშეყრის* საქმე).

52. სასამართლომ მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტის საფუძველზე დაადგინა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი დასაბუთება იმისა, რომ

განმცხადებელს ზიანი მიადგა სხვაგვარად და არა პოლიციის განყოფილებაში დაკავებისას.

53. სასამართლო იმეორებს, რომ თავისუფლებანიამორთმეული ადამიანის მიმართ ფიზიკური იძულების გამოყენება, თუ ეს აუცილებლად მისი ქმედობით არ არის გამოწვეული, ამცირებს ადამიანის ღირსებას და პრინციპში, არის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა. გამოძიების მოთხოვნები და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული უდავო სიძნელეები არ ამართლებს ინდივიდების ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვაზე შეზღუდვების დაწესებას (*ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია ა, № 241-ა, გვერდი 42, პუნქტი 115).

54. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეში კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

55. აპლიკანტმა განაცხადა, რომ მის მიმართ პოლიციის მხრიდან ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით საჩივრის დაცვაზე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან არ გააჩნდა ეფექტური საშუალება, რითაც დაირღვა მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

„...ეკლას, ვისაც დაერღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინონ იმ პირებმა, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით“.

ა. განმცხადებლის არგუმენტები

56. განმცხადებელმა აქცენტი გააკეთა, რომ საჯარო პროკურორები, ვინც ექსკლუზიურად არიან ვალდებული გამოიძიონ პოლიციის ქმედობები, განიცდიან დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობას მათი ორმაგი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ფუნქციების გამო: ისინი არიან სისხლის სამართლის საქმისწარმოების მხარეები და ზედამხედველები. ეს გამოჩნდა მისი ჩვენებების სრული და ეფექტური გამოძიების არარსებობაში, რაც თავისთავად გამოვლინდა მისი მოწმეებისა და სამედიცინო ჩვენებების უგულბელყოფასა და საქმის შეწყვეტაში საბოლოო მტკიცებულებების მოთხოვნის მიზნით.

საქმისწარმოების დროს დანაშაულის მსხვერპლისთვის არ არსებობდა არანაირი საშუალება, ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეწარმოებინა დამოუკიდებელი გამოძიება. უფრო მეტიც, საჯარო პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ბრალის წაუყენებლობის შესახებ, სასამართლო განხილვას არ ექვემდებარებოდა და მე-6 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან (იხ. §70) მიმართებით ასევე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე პოლიციის წინააღმდეგ.

ბ. მთავრობის არგუმენტები

57. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მითითებით, სისხლის-სამართლებრივი გამოძიება *ex officio* ჩატარდა. გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ დამასრულებელი მტკიცებულების მოთხოვნის გამო პროცედურასთან დაკავშირებული საჩივრის თანმდევი იყო.

ამ პროცედურებში, ხელისუფლებამ განმცხადებლის მითითებები სერიოზულად განიხილა და მაშინვე არ უარუყვია. გამოძიების მსვლელობისას რამდენიმე მოწმე დაიკითხა, განმცხადებელი დაუპირისპირდა ეჭვმიტანილებს და მოწინააღმდეგე მოწმეებს; მიღებული იყო სამედიცინო ექსპერტის დასკვნაც. მიუხედავად აღნიშნულისა, მოგროვებული მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი საქმის დასასრულებლად და ეჭვმიტანილების სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ გასცდა გონივრული ეჭვის ზღვარს.

58. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პროკურორები ინსტრუქციებს მათი ზემდგომების მიერ იღებენ და ამდენად, მათი დამოუკიდებლობა არ შეიძლება შეედაროს მოსამართლეების დამოუკიდებლობას, მათ არ შეიძლება მითითებები და ინსტრუქციები მისცეს მსხვერპლმა ან ეჭვმიტანილმა, რომ არაფერი ვთქვათ პოლიციაზე. უკანასკნელისაგან განსხვავებით, პროკურორები არ არიან მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ. ისინი პასუხისმგებლები არიან მხოლოდ გენერალური პროკურორის წინაშე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. რამდენიმე ევროპული სამართლებრივი სისტემისაგან განსხვავებით, საპროკურორო ხელისუფლება, თავის მხრივ, არანაირად არ არის დამოკიდებული მთავრობაზე, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროების ხაზით.

59. გარდა ამისა, განმცხადებელს შეეძლო ოფიციალურად დაეყენებინა პოლიციის პასუხისმგებლობის საკითხი და ამოეწურა ყველა სხვა საშუალება. პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის შეწყვეტა და შესაბამისი მტკიცებულებების ნაკლებობის გამო მისი გამართლებაც კი, არ გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 ნაწილის 1-ლი პარაგრაფის (იხ. § 27) მიხედვით, სამოქალაქო სასამართლოები არ არიან დამოკიდებულნი სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტზე. როგორც უნგრეთის სასამართლოების შესაბამისი იურისპრუდენციიდან ნათელი ხდება (იხ. მაგ.: BH2001.173, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვა), სამოქალაქო და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობა შესაბამისად მოითხოვს განსხვავებული ფაქტობრივი ელემენტების წარმოდგენას. მაშინ, როცა სისხლის-სამართლებრივ პროცედურაში ფაქტები, რომლებიც არ დასტურდება გონივრული ეჭვის მიღმა, არ შეიძლება გახდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი, სამოქალაქო პროცესში მოსამართლეებს აქვთ თავისუფლება, შეაფასონ მონაცემები, დამტკიცებულად მიიღონ ისინი, გამოიტანონ დასკვნები რომელიმე მონაცემის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში და დაადგინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, საკმარისად ძლიერი, ნათელი და ერთსულოვანი გარემოებებიდან გამომდინარე (*სელმუნი საფრანკეთის წინააღმდეგ*, op. cit., §88). თუმცა სამოქალაქო პროცესში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია და მასვე ევალება, დაამტკიცოს უკანონო ქმედების ჩადენის ფაქტი, ზარალი და მიზეზობრივი კავშირი, სინამდვილის მოთხოვნილი ზღვარი უფრო დაბალია, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესში. დაბოლოს, პოლიციის ოფიცრების დაუსჯელობას არ ექნებოდა რაიმე გადამწყვეტი უარყოფითი ასახვა განმცხადებლის მხრიდან სამოქალაქო სარჩელის შეტანაზე.

გ. სასამართლოს შეფასება

60. განსახილველია ის ფაქტი, რომ მხარეების არგუმენტების ნაწილი მოიცავს მე-3 მუხლის პროცედურულ დაბოლოებას. სასამართლო მიიჩნევს, რომ მართებული იქნება მე-3 მუხლის მითითებული დარღვევა და პროცედურული ვალდებულება განიხილოს მე-13 მუხლის კონტექსტში (იხ. *ილაზანი თურქეთის წინააღმდეგ*, [GC], №22277/93, პუნქტები 92-93, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-VII).

61. როგორც სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, კონვენციის მე-13 მუხლი იძლევა გარანტიას შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე შესრულდეს და ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით დაცულ იქნეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. მე-13 მუხლი ასევე მოითხოვს, რომ კონვენციის ფარგლებში შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებებით მოხდეს სადავო საჩივრის არსებითი განხილვა და შესაბამისი დახმარების აღმოჩენა, თუმცა ხელშემკერელ მხარეებს აქვთ დისკრეციული უფლება, გადაწყვიტონ რა ფორმით შეასრულებენ კონვენციის ამ დებულებით ნაკისრ ვალდებულებას. მე-13 მუხლით ნაკისრი ვალდებულების მოცულობა ასევე იცვლება კონვენციის ფარგლებში განმცხადებლის საჩივრის მიხედვით. თუმცა მე-13 მუხლის მიხედვით მოთხოვნილი საშუალება უნდა იყოს „ეფექტური“ პრაქტიკულადაც და სამართლებრივადაც (იხ., სხვა ხელისუფალთ შორის, *აილინი თურქეთის წინააღმდეგ*, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1997-VI, გვ. 1895-96, პუნქტი 103).

62. სასამართლომ ადრეც აღნიშნა, რომ როდესაც რისკის ქვეშ დგას ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიცაა სიცოცხლის უფლება ან ცუდად მოპყრობის აკრძალვა, მე-13 მუხლი, კომპენსაციის გადახდასთან ერთად, მოითხოვს მკაცრი და ეფექტური გამოძიების ჩატარებას, რომელსაც მოჰყვება დამნაშავეების იდენტიფიცირება, დასჯა და რომელიც მოიცავს გამოძიების პროცედურაზე მომჩივნის ეფექტურ დაშვებას (იხ. *კაია თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1998-I, გვ. 330-331, პუნქტი 107). უფრო მეტიც, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც კონვენციის ყველაზე მეტად ფუნდამენტური დებულებების რიგში განიხილებიან, დარღვევიდან წარმოშობილი არამატერიალური ზიანის ანაზღაურება პრინციპში უნდა იყოს ხელმისაწვდომი საშუალებების ნაწილი (*ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [GC], №29392/95, პუნქტები 108-109, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-V).

63. თუმცა, მე-13 მუხლის მიზნებისათვის საშუალების ეფექტურობა არ არის დამოკიდებული განმცხადებლისთვის სასურველი შედეგის დადგომაზე (იხ. *ვილვარაჯაჰი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1991 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №215, გვ. 39, პუნქტი 122).

64. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოები მზად იყვნენ სერიოზულად განეხილათ განმცხადებლის საჩივარი და მაშინვე უარი არ ეთქვათ მისთვის. ამ კუთხით განსახილველია, რომ მისი საჩივარი პროკურატურის სამმა ინსტანციამ განიხილა. უფრო მეტიც, პროკურატურის ორგანოები დათანხმდნენ მისი საქმის ხელახლა გახსნაზე NEKI-ს მოთხოვნის შედეგად.

65. ამ გამოძიების განმავლობაში აპლიკანტს ეკითხებოდნენ პოლიციის განყოფილებაში მომხდარის მისეულ ვერსიას. გამოძიების მსვლელობისას, მათ შორის, განმცხადებლის თანდასწრებითაც, დაიკითხნენ პოლიციის ეჭვმიტანილი ოფიცრები, რაც გამოიხატა დაპირისპირებაში. გარდა ამისა, განმცხადებლის კომპანიონებს და იმ დღეს მოვალეობის შემსრულებელ პოლიციის ოფიცრებს მოწმის სტატუსით მოუსმინეს. გამოძიებლებმა განმცხადებლის დაზიანებების მიზეზის გარკვევისათვის ასევე დანიშნეს სამედიცინო ექსპერტი და მხედველობაში მიიღეს NEKI-ს მიერ წარდგენილი სამედიცინო ანგარიში.

66. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმოება შეწყდა, რადგან წარმოიშვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნა, იმის თაობაზე,

რომ განმცხადებლის ეურის დაზიანებები გამოიწვია პოლიციის ეჭვმიტანილი ოფიცრების ქმედობამ.

ამ მხრივ, სასამართლო კმაყოფილია, რომ გამოძიება იყო საფუძვლიანი და სანდო, რომელიც ნატარდა იმისთვის, რომ შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილიყო და დასჯილიყო ნებისმიერი პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელე (შედარება და კონტრასტი, მაგალითად, *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [GC], №26772/95, პუნქტები 130-136, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV). გარდა ამისა, მიუღებელია განმცხადებლის მტკიცება, რომ პროკურატურის ორგანოები დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად არ ასრულებენ მოვალეობას.

67. უფრო მეტიც, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, ემსჯელა სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლით გათვალისწინებული იმ საშუალების ეფექტურობის თაობაზე, რომლის გამოყენებაც არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლო განმცხადებელს, რადგან დროულად არ შეიტანა სარჩელი საქმის შეწყვეტის 1996 წლის 6 მარტის ბრძანების წინააღმდეგ (იხ. §§ 21, 26).

68. ამ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში და მის საჩივართან დაკავშირებით განმცხადებელს ჰქონდა ეფექტური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

შესაბამისად, კონვენციის მე-13 მუხლი არ დარღვეულა.

IV. კონვენციის მე-6 მუხლის მითითებული დარღვევა

69. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას უარი ეთქვა სასამართლოს ეფექტურ გამოყენებაზე კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით, რომელიც, *inter alia*, ითვალისწინებს:

„სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, დროის განსაზღვრულ ვადაში...“

70. განმცხადებელმა მიუთითა, რომ პროკურატურის ორგანოების გადაწყვეტილებამ, ბრალი არ წაეყენებინათ პოლიციის ეჭვმიტანილი ოფიცრებისათვის, ხელი შეუშალა მას ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის შეტანის მიზნით სასამართლოსათვის მიმართა. სისხლის-სამართლებრივი საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ, კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, არ შეეძლო გამოსულიყო სამოქალაქო მხარედ (იხ. §25). უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად მისთვის შესაძლებელი იყო სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის მიხედვით, კრიმინალურ ქმედობაზე წამოეწია კომპენსაციის საკითხი, სამოქალაქო სასამართლოს შეუძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის (იხ. §27) მიხედვით, შეენერებინა ნებისმიერი ასეთი ქმედობა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრამდე. საბოლოოდ, სადავოა, იმ გარემოებაში, როცა არ არსებობს სისხლის-სამართლებრივი ბრალდება, იმავე ფაქტებიდან დაიწყოს სამოქალაქო საქმის წარმოება.

71. დასაწყისში მთავრობამ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლი არ იძლევა მესამე მხარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოების უფლებას, თუნდაც ისინი სახელმწიფო მოხელეები იყვნენ (იხ. *ჩიზოვი ეკრაინის წინააღმდეგ*, №6962/02, 2003 წლის 6 მაისი). ამდენად, სასამართლოზე დაშვება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს ცუდად მოპყრობიდან წარმოშობილი სამოქალაქო დავებისათვის. მოცემულ საქმეში ზიანის ანაზღაურებისათვის საქმის წარმოება [განმცხადებელს] შეუძლო დაეწყო

339-ე მუხლის საფუძველზე, ან ოფიციალური პასუხისმგებლობის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის მიხედვით (იხ. § 26).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლოსადმი მიმართვის წინა პირობა უნდა ეთუთვოდეს ჩვეულებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა. გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივარი (იხ. §25) ჩვეულებრივი სამართლებრივი საშუალებაა, რომელიც უნდა ამოწურულიყო, სანამ საგამოძიებო ხელისუფლების სისხლის სამართალწარმოებიდან, მათი ქმედობის ან უმოქმედობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განდებოდა. მოცემულ საქმეში, განმცხადებელმა დროულად არ გამოიყენა ეს საშუალება და შესაბამისად, დაკარგა შესაძლებლობა სამოქალაქო დავის მიზნით მიემართა სასამართლოსთვის.

72. სასამართლოსათვის, პოლიციის მიერ ცუდად მოპყრობის ფაქტიდან გამომდინარე, ნებისმიერ დავას, რომელიც განმცხადებლის მიერ იქნებოდა აღძრული ზიანის ანაზღაურების მიზნით, უნდა გამოეწვია „მისი სამოქალაქო უფლებების განსაზღვრა“. ამ მიზნით გამოყენებადია მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (იხ. *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1998-VIII, გვ. 3292, პუნქტი 110).

სასამართლოს აღნიშვნით, განმცხადებელი არ უარყოფდა, რომ სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლი სარჩელის საფუძველზე ითვალისწინებდა, რაც არ აძლევდა მას საშუალებას სამოქალაქო სასამართლოში დაეწყო საქმისწარმოება. იგი დავობდა, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედობა მოხედებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ქვეშ.

მოგვიანებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო სასამართლოები არიან უფლებამოსილნი და არა ვალდებული 152-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, შეწყვიტონ მათი საქმისწარმოება პირველადი სისხლის სამართალწარმოების შედეგის მოლოდინში. უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი სამოქალაქო სასამართლოებს ანიჭებს ფართო საზღვრებს იმისათვის, რომ შეაგროვონ და შეაფასონ მტკიცებულებები. ნებისმიერი შესაძლო უზუსტობა დაკავშირებული სამოქალაქო პროცესის შესაბამისი წესების გამოყენებასთან, შეიძლება აღმოფხვრილიყო, განმცხადებელს რომ გაეკეთებინა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე. ვინაიდან ის არ მოიქცა შესაბამისად, მისი განცხადებები მსგავსი ქმედობის შესაძლო შედეგებზე სპეკულაციის საგანია.

უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის პირადი წარუმატებლობა არის ის, რომ 148-ე ნაწილის შესაბამისად, დროულად არ შეიტანა სარჩელი, რაც სამოქალაქო კოდექსის 349-ე ნაწილის თანახმად, მისთვის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის დაყენების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. ამ გარემოებებში არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს ან უარი ეთქვა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე ან მას, მისი სამოქალაქო უფლებების განსაზღვრისათვის, ჩამოერთვა უფლება სამართლიან მოსმენაზე.

73. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა.

V. კონვენციის მე-14 მუხლის მითითებული დარღვევა

74. განმცხადებელი წიოდა, რომ მის მიმართ მითითებული ცუდად მოპყრობიდან და ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი პროცედურების გატარებიდან ჩანდა, რომ მის წინააღმდეგ ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე ხდებოდა დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-14 მუხლს მე-3 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში. მე-14 მუხლი ითვალისწინებს:

„ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილ იქნება ეველასათვის, ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ისეთივე როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვაგვარი აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი“.

75. აპლიკანტმა განაცხადა, რომ პოლიციის ეჭვმიტანილმა ოფიცრებმა მისი ბოშური წარმოშობის შესახებ იცოდნენ. მისი თქმით, უნგრეთის პოლიციის *vis-a-vis* დისკრიმინაციული დამოკიდებულება ბოშური წარმოშობის ხალხის მიმართ კარგად იყო დასაბუთებული. მან მოახდინა პოლიციის ოფიცრის ციტირება, რომელმაც პოლიციის განყოფილების დატოვებისას უთხრა: „უთხარი მისკოლკელ ბოშებს, რომ უკეთესია, ფეხი არ დადგან ოროშაზაში“.

76. როგორც წინასწარი პრეტენზია, მთავრობამ აღნიშნა, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნებისაგან განსხვავებით, განმცხადებელს არ ამოუწურავს შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგან შიდა სახელმწიფოებრივ პროცედურებში მას არცერთხელ არ განუცხადებია, რომ მის მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტი გამოწვეული იყო მისი ეთნიკური წარმოშობით. მითითება შესაძლო რასობრივ დისკრიმინაციაზე არ იყო წამოჭრილი არც 1995 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრულ საჩივარში და არც NEKI-ს 1998 წლის აგვისტოს საჩივარში.

77. გარდა ამისა, განმცხადებლის მტკიცება, რომ პოლიციის ოფიცრებმა დაკითხვის დროს იცოდნენ მისი ბოშური წარმოშობის შესახებ და მათი ქმედობა ამ ფაქტზე იყო დაფუძნებული, მოკლებული იყო ყოველგვარ დამაჯერებლობას. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის არგუმენტაცია ამასთან დაკავშირებით, ეყრდნობოდა მხოლოდ გავრცელებულ ცრურწმენას მთლიანად უნგრეთის საზოგადოებისა და კერძოდ, პოლიციის მითითებულ დამოკიდებულებასთან ბოშებთან. თუმცა მთავრობისთვის მსგავსი ზოგადი მოსაზრებები არ შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც პოლიციის მიერ განმცხადებლის მიმართ ეროვნული წარმოშობის საფუძველზე დისკრიმინაციის დადასტურება. ასეთ შემთხვევებში საჭირო იყო „გონივრული ეჭვის მიღმა“ მტკიცება, რომელიც გამომდინარეობდა საკმარისად ძლიერი, ნათელი და ერთსულოვანი დასკვნებიდან, ან ფაქტების მსგავსი უდავო ვარაუდებიდან (იხ. *ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ*, №41488/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV; *ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ* №38361/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-IV). მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს განმცხადებლის მიერ მოწოდებული ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე, რომელშიც ის უთითებს დისკრიმინაციული დამოკიდებულების არსებობაზე, ასეთი დასკვნები არ შეიძლება საკმარისი იყოს მოცემულ საქმეში მე-14 მუხლის დარღვევის დასადგენად. ამასთან განმცხადებლის მითითება პოლიციის ოფიცრის მიერ გაკეთებული განაცხადის თაობაზე არ იყო დამტკიცებული სხვა მოწმეების მიერ, რომელთაც მის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება.

78. რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ცუდად მოპყრობის ფაქტის გამოუძიებლობის საფუძველად განმცხადებლის მიერ მითითებულ რასობრივ მოტივს, მთავრობამ განაცხადა, რომ მისი მტკიცების მხარდასაჭერად განმცხადებელი მხოლოდ ზოგად ინფორმაციას იშველიებდა.

79. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არის აუცილებელი იმის განხილვა, ამოწურა თუ არა განმცხადებელმა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები მე-14 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის გამო. მისი აზრით და საქმეში არსებული მასალების განხილვის შედეგად, საფუძველს არის მოკლებული განმცხადებლის მითითება, რომ

მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები (შედარება და კონტრასტი ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, №43577/98 და №43579/98, პუნქტები 155-175, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004). შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლი, მე-3 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში, არ დარღვეულა.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

80. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუ მაღალი ხელშემკრველი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას“.

ა. ზიანი

81. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გასაჩივრებული ინციდენტის დროს მან პრაქტიკულად დაკარგა ყველა შესაძლებლობა მიეღო ნორმალური სამსახური და უწევდა სოციალურ დახმარებებზე ცხოვრება. ინციდენტის მომენტიდან უნგრეთის საშუალო საპენსიო ასაკამდე, 62 წლამდე, გამოთვლილმა განსხვავებამ მის ახლანდელ შემოსავალსა და უნგრეთში ჩვეულებრივი მუშის საშუალო შემოსავალს შორის შეადგინა 11 668 636,00 უნგრული ფორინტი (HUF). განმცხადებელი ამ თანხას მისი მატერიალური ზიანისათვის ითხოვდა.

82. რაც შეეხება ფიზიკურ და მორალურ ტრავმას, რაც მან პოლიციის მიერ ცუდად მოპყრობის შედეგად მიიღო, განმცხადებელი ითხოვდა 5 მილიონ უნგრულ ფორინტს.

83. მთავრობამ განმცხადებლის მოთხოვნა გადაჭარბებულად მიიჩნია.

84. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, სასამართლომ განიხილა, ყურის დაზიანებით გამოწვეული განმცხადებლის განუსაზღვრელ დონემდე გაუარესებული სამუშაო ქმედუნარიანობა (იხ. § 20, *in fine*). ვინაიდან არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი გადატანილ ცუდად მოპყრობასა და როგორც განმცხადებელი ამტკიცებდა, გაუარესებული სმენიდან გამომდინარე შემოსავლის დაკარგვას შორის, სასამართლომ მიიღო, რომ განმცხადებელს მიადგა გარკვეული მატერიალური ზიანი, როგორც მისი მდგომარეობის შედეგი და სამართლიანად მიიჩნია, ამ კუთხით, მისცემოდა მას 400 ევრო (EUR).

85. როგორც არამატერიალური ზიანი, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს საკმარისი არამატერიალური ზიანი მიადგა პოლიციის მიერ ცუდად მოპყრობის შედეგად გამოწვეული სტრესისა და ტანჯვის საფუძველზე. შეფასების შედეგად, სასამართლომ მას დაუდგინა 10 000,00 ევრო.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

86. მისი იურიდიული წარმომადგენლებისათვის განმცხადებელმა მოითხოვა 6 000,00 ევრო საქმის გაცნობამდე, 2 000,00 ევრო დაშვების გადაწყვეტილებამდე, 2 000,00 ევრო არსებითი განხილვის სტადიამდე და 1 000,00 ევრო მეგობრულად მოგვარებისათვის მოლაპარაკების საწარმოებელი ხარჯებისთვის. ეს რაოდენობა 25%-ით დაბეგვრას

ექვემდებარებოდა. განმცხადებელმა წარადგინა თავის იურისტთან გაფორმებული 2003 წლის 29 ივნისის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მას მისი წარმომადგენლობისათვის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე დასრულდებოდა წარმატებით და დამაკმაყოფილებლად, ლეგალურ დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებასთან ერთად.

87. მთავრობამ განმცხადებლის მოთხოვნა გადაჭარბებულად ცნო.

88. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ეს ხარჯები იყო რეალური და აუცილებელი, ამავე დროს, გონივრული რაოდენობით. მოცემულ საქმეში, მის ხელთ არსებული ინფორმაციის და ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ კონვენციით გათვალისწინებული პროცესებისათვის განმცხადებელს გადასცემოდა 3 000,00 ევრო.

გ. საურავი

89. სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ საურავი დაფუძნებული უნდა იყოს ევროპის ცენტრალური ბანკის სასესხო განაკვეთის ტოლ საურავზე, რომელსაც დაემატება 3 პროცენტული პუნქტი.

ზემოხსენებულის ბათვალისწინებით, სასამართლო

1. უარყოფს ერთხმად მთავრობის წინასწარ პრეტენზიას კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე აღძრულ საჩივართან დაკავშირებით, შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის არარსებობის თაობაზე;

2. ადგენს 4 ხმით 3-ის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;

3. ადგენს ერთხმად, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი;

4. ადგენს ერთხმად, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი;

5. ადგენს ერთხმად, რომ არ დარღვეულა მე-14 მუხლი, მე-3 და მე-13 მუხლებთან ერთობლიობაში;

6. ადგენს 4 ხმით 3-ის წინააღმდეგ,

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს, გადაცემის დღის კურსით, ეროვნულ ვალუტაში კონვერტირებული შემდეგი რაოდენობა:

1. 4 000,00 (ოთხი ათასი) ევრო მატერიალური ზიანისათვის;

2. 10 000,00 (ათი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისათვის;

3. 3 000,00 (სამი ათასი) ევრო ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის;

4. ნებისმიერი გადასახადი, რაც ზემოთ აღნიშნული რაოდენობიდან იქნება გადასახდელი;

ბ) ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ გადახდამდე, საურავი უნდა გადახდეს ზემოაღნიშნული ოდენობით საურავის გადახდის დროისათვის ევროპის ცენტრალური ბანკის სასესხო განაკვეთის ტოლი საურავის კურსით, რომელსაც საურავის დროს დაემატება 3 პროცენტული პუნქტი;

7. უარყოფს ერთხმად განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობითი შეტყობინება მოხდა 2004 წლის 20 ივლისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე
მდივანი

ჟ.-პ. კოსტა
პრეზიდენტი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სასამართლოს წესების 74-ე წესის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბ-ნ ბაკას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, გაერთიანებული ბ-ნ ჯანგვიერთთან და ბ-ნ ბუტკევიჩთან, თან ერთვის გადაწყვეტილებას.

ჟ.-პ. კ.
ს. დ.

პალატაში ჩემი კოლეგების უმრავლესობამ სწორად აღნიშნა, რომ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში კარგად დადგენილი ფაქტია, - როდესაც პიროვნებას პოლიციის განყოფილებაში დაკავებისას აქვს კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო განთავისუფლების მომენტისათვის მას მიყენებული აქვს დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს ზიანის მიყენების მიზეზების რეალური ახსნა, რისი არარსებობაც წარმოშობს კონვენციის მე-3 მუხლის წამოწევის საკითხს (იხ. *ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია ა, №241-ა, გვ. 40-41, პუნქტები 108-111, და *რიბიში ავსტრიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №336, გვ. 25-26, პუნქტი 34).

ამ შემთხვევებში, და სამართლიანადაც, მტკიცების ტვირთი ბრუნდება და ხელისუფლებას უწევს დამტკიცება, რომ პოლიცია და რიგ შემთხვევებში, ციხის ხელმძღვანელობა არ არის პასუხისმგებელი დაკავებულისთვის დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში მიყენებული დაზიანებების გამო. სხვაგვარად, მთავრობას უნდა შეეძლოს დაკავებულისთვის იმ მიყენებული დაზიანებების მიზეზების დამაჯერებელი ალტერნატიული ვერსიის შეთავაზება, რომლებიც დაკავების დროს არ ჰქონია, მაგრამ გათავისუფლების მომენტში აღმოაჩნდა სახელმწიფო მოხელეების კონტროლის ქვეშ მყოფ პირს.

მოცემულ საქმეში კი მდგომარეობა განსხვავებულია. განმცხადებელმა დატოვა პოლიციის განყოფილება, სადაც მას, როგორც მიუთითა, ცუდად მოეპყრნენ. მას არ გაუვლია სამედიცინო შემოწმება მითითებული ინციდენტის დღის საღამოს და არც მეორე დღეს. ის ეჭიმთან მხოლოდ ორი დღის შემდეგ მივიდა. ჩემი აზრით, მთავრობა არ არის ვალდებული წარმოადგინოს განმარტება იმ ზიანზე, რომელიც განმცხადებელს შეიძლება მიდგომოდა გათავისუფლებიდან პირველი სამედიცინო შემოწმების გავლამდე. განმცხადებელს გათავისუფლებისთანავე უნდა ეცნობებინა ხელისუფლებისათვის მისი დაზიანებების თაობაზე და დაუყოვნებლად უნდა მიეღო სამედიცინო დასკვნა. აღნიშნულის დაყოვნება, თუ შეუსრულებლობა მიღებულ უნდა იქნეს, როგორც პიროვნების მიერ იმის დამტკიცების შესაძლებლობის მნიშვნელოვნად შემცირება, რომ მას ცუდად მოექცნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას, რაც დამოუკიდებელი საგამოძიებო ხელისუფლებისათვის რეალური ფაქტების დადგენას საკმაოდ ართულებს და შეიძლება ითქვას, შეუძლებელს ხდის.

ჩემი აზრით, ზუსტად ასე მოხდა მოცემულ საქმეში. არ არსებობდა ცუდად მოპყრობის უშუალო მოწმე და მიუხედავად მკაცრი და სრული შიდა სახელმწიფოებრივი გამოძიებისა (იხ. გადაწყვეტილების პარაგრაფები 64-66), შეუძლებელი იყო გონივრული ეჭვის მიღმა იმის დადგენა, რომ განმცხადებელს პოლიცია ცუდად მოეპყრო. მოცემულ საქმეში გადაწყვეტილება მთავრობისაგან მოითხოვს, სასამართლოს დაკმაყოფილების მიზნით, წარმოადგინოს განმცხადებლის დაზიანებების მიზეზი მაშინაც კი, თუ ისინი მას გათავისუფლების შემდეგ მიაღვა. ასე მოქცევით, მე ვფიქრობ, რომ სასამართლო, ხელისუფლებაზე უსამართლოდ ავრცელებს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის წესს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიყენებული დაზიანებებისათვის გათავისუფლების შემდეგ პერიოდზე, რომელზეც ხელისუფლებას გააჩნია შესაძლებელი ინფორმაცია და ამის გამო გაცილებით შეზღუდული პასუხისმგებლობა. გავრცელებული პასუხისმგებლობის და შეტრიალებული მტკიცების ტვირთის პრინციპი ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ექნება ექსტრემალურად შეზღუდული შესაძლებლობები გაიმართლოს თავი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ცუდად მოპყრობის ბრალდებისაგან იმ გარემოებებში, როდესაც განმცხადებელი მხოლოდ დაგვიანებით იღებს სამედიცინო დასტურს თავისი დაზიანებების შესახებ და არანაირად არ ცდილობს დაამტკიცოს მისი დაზიანებების არსებობა გათავისუფლებისას.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებზე დამატებით, მოცემულ საქმეში მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც გაამართლებდა ადგილობრივი ხელისუფლების დასკვნებს განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით, ან რომელიც სასამართლოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე მისცემდა საშუალებას, კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, გონიერული ეჭვის მიღმა დაედგინა, რომ განმცხადებლის დაზიანებები გამოიწვია პოლიციის ბრალეულობამ. მაშინაც კი, თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ფაქტის დასადგენი ქმედობები არ არის ამოუწურავი და შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი, ისინი, ფაქტის დადგენის კუთხით, ზოგადად უკეთეს მდგომარეობაში არიან. სასამართლოს ვალდებულება არ არის იმ ადგილობრივი ხელისუფლების როლის აღება, რომელიც შემთხვევის შესაბამისი ფაქტების შეფასების კუთხით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება. მისი როლი უფრო მეტად მდგომარეობს იმაში, რომ კონვენციის ფარგლებში განიხილოს მათ მიერ ძალაუფლების განხორციელების დროს მიღებული გადაწყვეტილებები (c.f. *ტაჩიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ* (dec.), №42472/98, 2003 წლის 14 ოქტომბერი; *ფარკასი უნგრეთის წინააღმდეგ* (dec.), №31561/96, 2000 წლის 2 მარტი; *ბრონდა იტალიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1998-IV, გვ. 1491, პუნქტი 59).

მოცემულ საქმეში ხელისუფლებამ თავდასხმის ფაქტზე ჩაატარა დამოუკიდებელი გამოძიება, მოუსმინა ყველა შესაძლებელ მოწმეს და მოგვცა მათი გადაწყვეტილების – არ დაედოთ ბრალი ეჭვმიტანილი პოლიციელებისათვის განმცხადებლის მიმართ ცუდად მოპყრობის თაობაზე – მიზეზები. გამოძიება უდავოდ ზუსტი იყო. პირველი გამოძიების დახურვიდან ორი წლის შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაახლა გამოძიება NEKI-ს მოთხოვნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით, მათ ამის ვალდებულება არ ჰქონდათ.

მკაცრი გამოძიების ჩატარების მიუხედავად, საგამოძიებო ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაედგინა, რომ განმცხადებელს ცუდად პოლიციის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოეპყრნენ. ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა ყველა ჩართულ ადამიანთან პირდაპირი კონტაქტის უპირატესობა და გააჩნდათ შეუფასებელი პრივილეგია, შეემოწმებინათ ყველა მოწმის ჩვენება და მტკიცებულება დაუყოვნებლივ მომხდარის შემდგომ. ჩემი აზრით, სასამართლოს არ შეუძლია უარყოს საგამოძიებო ხელისუფლების მიერ პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ საქმის სისუსტის დამოუკიდებელი შეფასება და მათი დასკვნა, რომ წარმატებული ბრალდება არ შეიძლება დაეფუძნოს ამ მტკიცებულებების სიძლიერეს.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე და დიდი მწუხარებით, მე არ ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას, რომ მოცემულ საქმეში დარღვეულ იქნა კონვენციის მე-3 მუხლი.